

“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 15.06 N 03-03 ბრძანებით

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო კოლეჯი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
კოლეჯის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების,
მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი



თბილისი 2020

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში მოდულური პროგრამა), შემუშავების, დამატების, მასში ცვლილების შეტანის, დამტკიცებისა და გაუქმების პროცედურებს.

2. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ №121/ნ ბრძანების მე-41 მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ №733 ბრძანებისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 1. პროგრამის დამატების ინიცირება

1.1. ახალი პროგრამის დამატების გადაწყვეტილება შესაძლებელია განპირობებული იყოს

- დასაქმების ბაზრის შესწავლის შედეგებით
- პარტნიორი კომპანიების დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნით
- კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ.
- სასპორტო მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით

1.2. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით კოლეჯის დირექტორის სახელზე.

1.3. პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის თანამშრომელი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა დაინტერესებული პირი

მუხლი 2. პროგრამის შემუშავება/დამატება და დამტკიცება, მასში ცვლილების შეტანა

2.1. პროგრამის შემუშავება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე

2.2. პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგებლობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კერძოდ, დირექტორის მოადგილე და სასწავლო პროცესის მენეჯერი (კვოტის გაანგარიშება, სასწავლო გეგმის აგება, პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა, პროგრამის ბიუჯეტის შედგენა, მატერიალური რესურსის მობილიზება/შეძენა), პროგრამის ხელმძღვანელი (სასწავლო გეგმის სტრუქტურის და მატერიალური რესურსის განსაზღვრა), პროგრამის განმახორციელებლები (მოდულის განხორციელების დაგეგმვა და ადაპტირება),

სასწავლო პროცესის კოორდინატორი (ძირითადი დოკუმენტის და მოდულების ადაპტირება), ადამიანური რესურსების მენეჯერი (ადამიანური რესურსების მობილიზება/ხელშეკრულების გაფორმება), პრაქტიკული კომპონენტის პარტნიორი კომპანიების ბაზაზე განხორციელების შემთხვევაში, კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი (პარტნიორ კომპანიებთან მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმება).

2.3. პროგრამის დამტკიცებაზე, მასში ცვლილებების შეტანასა და გაუქმებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი, რომელიც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს.

2.4. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი განაცხადის შევსების გზით უზრუნველყოფს დამტკიცებული პროგრამის პაკეტის წარდგენას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ასევე პასუხისმგებელია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ცენტრის ინფორმირებისა და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, ინიცირებით მიმართვაზე.

2.5. პროგრამაში ცვლილების შეტანა მისი განვითარების ან/და ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით შესაძლებელია როგორც განხორციელების ეტაპზე, ასევე დასრულების შემდეგ.

2.6. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს:

- პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით;
- უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში;
- სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს.

2.7. პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირების უფლებამოსილება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც არგუმენტირებული მოთხოვნით, სამსახურებრივი ფოსტით მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

2.8. დაინტერესებული პირი შესაძლებელია იყოს: პროგრამის შემუშავებაში, განხორციელება ან/და შეფასებაში ჩართული პირი.

2.9. ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა განიხილება პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტირებით და საჭიროების შემთხვევაში პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობით.

2.10. პროგრამაში ცვლილების შეტანა ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

2.11. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 3. შემუშავებული პროგრამის შეფასება

3.1. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი შეფასების მიზნით წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს.

3.2. პროექტის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარვეზების გამოსწორების მიზნით უბრუნდება პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს.

3.3. ხარვეზების გასწორების შემდეგ პროგრამის პროექტი თავიდან წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც აფასებს პროგრამის კორექტირებულ ვარიანტს.

3.4. დადებითი შეფასების შემთხვევაში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 4. პროგრამის შეცვლა და გაუქმება

4.1. არსებული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

- პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა ან/და ცვლილება
- პროფესიულ პროგრამაზე სწავლის მსურველთა არარსებობის გამო კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის შეწყვეტა 2 წლის განმავლობაში;
- ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის პროფესიული პროგრამის მოთხოვნებთან შეუსაბამობა;
- კონკრეტული პროფესიის კადრებზე შრომის ბაზარზე მოთხოვნის არარსებობა.
- შეფასების შედეგების ანალიზი

4.2. არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია. რომლის შემადგენლობა განისაზღვრება - ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, დარგის სპეციალისტები და სხვა.

4.3. კომისია განიხილავს არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობას და კოლეჯის დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

4.4. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

4.5. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯი წერილობით აცნობებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.

მუხლი 5. პროგრამის ხელმძღვანელი

5. 1. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი ან კოლეჯის წარმომადგენელი ან დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, დარგობრივი კომპეტენცია. მისი კვალიფიკაცია და სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს

5.2. შესაძლოა ერთ მიმართულების რამდენიმე პროგრამას ერთის ხელმძღვანელი ყავდეს.

5.3. პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში. ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებასა და განვითარებას. იგი ასევე მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესში და ზრუნავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე.

5.4. პროგრამის ხელმძღვანელობა ადმინისტრაციული ფუნქციაა და ითვლება დამატებით პასუხისმგებლობად.

5.5. პროგრამის ხელმძღვანელობაზე ზეპირი ან/და წერილობითი უარის შემთხვევაში, ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის მენეჯერები განიხილავენ აღნიშნულ საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას პროგრამის ახალი ხელმძღვანელის განსაზღვრის თაობაზე, რასაც წერილობით წარუდგენენ კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.